

**რაჟდენ ხუნდაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მისია სულიერი
საგანმშრომლოს სადარაჯოზე**

აბდლაძე ლალი

შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდი

ლატარია ქეთევან

შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუგდიდი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.73>

აბსტრაქტი. რაჟდენ ხუნდაძე, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ქართული საქმის ჭირისუფალი იყო. მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე. იგი იყო გამორჩეული მგალობელი და აქტიური მებრძოლი ქართული ხალხური საერო და საეკლესიო სიმღერების შეურყვანელად შემონახვის, აღორძინებისა და გავრცელებისთვის. ამასთანავე, ის ყურადღებას იქცევდა როგორც მასწავლებელი, ლოტბარი, პოეტი-ჟურნალისტი, ორიგინალური მუსიკალური ნაწარმოებებისა და სახელმძღვანელოების ავტორი.

გარდა ძველი ქართული მუსიკალური შემოქმედების სწავლებისა და სანოტო სისტემაზე დაფიქსირებისა, დეკანოზი რაჟდენი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ პრესასთან. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „კოლხიდა“, „მწყემსი“, „ფარი“, შინაური საქმეები“, „ჩვენი ქვეყანა“, „განათლება“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. ესარჩლებოდა ცარიზმის მიერ დევნილ ქართულ ენას. მოძღვარი თავისი პატრიოტული ლექსებითა და პუბლიკაციებით, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩვენთვის ცნობილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა.

ღვთის შეწევნით ქართული საქმის ჭირისუფლობა - დეკანოზმა რაჟდენ ხუნდაძემ მომავალ თაობებს გადაურჩინა ძირძველი ქართული, სამხმიანი საგალობლები.

საკვანძო სიტყვები: ჭირისუფალი; საგალობელი; მასწავლებელი; შემოქმედი; ლოტბარი; სულიერი საგანმშრომლო.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საეკლესიო ქართული გალობა ვითარდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ სასულიერო კერებში: საბაწმინდის მონასტერში, სინას მთაზე, ტაო-კლარჯეთში, ათონის მთაზე და ა.შ.

ქართული ეკლესიის მამებმა და მორწმუნე მრევლმა გარკვეული ბრძოლა გასწიეს, რათა ჩვენამდე მოეღწია ქართულ გალობას, რომელიც უნიკალურია მსოფლიოში თავისი განსაკუთრებული მრავალხმოვანებით.

XIX-XX საუკუნეების არაერთმა მოღვაწემ ქართული გალობის გადასარჩენად უდიდესი შრომა გასწია. მათ შორის „განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ილუმენი ექვთიმე კერესელიძე, ფილიმონ ქორიძე, დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე, მღვდელ-მონაზონი ნესტორ კონტრიძე... და სხვ. მათ მომავალ თაობებს ღვთისა და ერისადმი უანგარო, თავგანწირული მსახურების მაგალითი დაუტოვეს“ (ქართული საეკლესიო გალობა. 2002:3).

რაჟდენ ხუნდაძე სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ქართული საქმის ჭირისუფალი იყო. მას ქართული მუსიკალური კულტურის წინაშე განსაკუთრებული დვაწლი მიუძღვის. ის იყო შესანიშნავი მგალობელი, აქტიური მებრძოლი ქართული ხალხური საერო და საეკლესიო სიმღერების შეურყვნელად შემონახვისა, აღორძინებისა და გავრცელებისათვის. ამასთან იგი ყურადღებას იქცევდა, როგორც მასწავლებელი, ლოტბარი, პოეტი-ჟურნალისტი, როგორც ორიგინალურ მუსიკალურ ნაწარმოებების და სახელმძღვანელოების ავტორი.

თითქმის ხუთი ათეული წლის განმავლობაში, რაჟდენ ხუნდაძე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა სიმღერას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, სასულიერო, ეპარქიალურ სასწავლებლებში. მან მრავალი თაობა აღზარდა.

რაჟდენ ხუნდაძეს ეკუთვნოდა ქართული გალობის ოქროს ხანაში წარმოშობილ სკოლას. იგი იყო მოწაფე მომღერალთა იმ უკანასკნელი თაობისა, რომელსაც ეკუთვნოდნენ ანტონი და დავით დუმბაძეები. რაჟდენ ხუნდაძე მოესწრო იმ დროსაც, როდესაც ქართული სიმღერა-გალობა განვითარების მაღალ დონეზე იდგა და იმ ხანასაც, როდესაც ის გადაგვარების გზას დაადგა.

XIX საუკუნეში, საეკლესიო ღვთისმსახურებას ქართული ენის უარყოფის გამო სრული გადაშენება დაემუქრა ძველ ქართულ საეკლესიო გალობას. დაიშალა მგალობელთა გუნდები, აქა-იქ იყვნენ შემორჩენილი გალობის მცოდნე პირები. ეკლესიაში რუსული გალობა იძულებით ინერგებოდა.

ქართველი ერი თანდათანობით კარგავდა საეკლესიო მუსიკის მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. მიუხედავად ამისა, ქართული საეკლესიო გალობის გადარჩენისა და აღდგენისათვის ზრუნავდნენ: ეპისკოპოსები გაბრიელი (ქიქოძე) და ალექსანდრე (ოქროპირიძე), მღვდლები: ვასილ და პოლიექტოს კარბელაშვილები, მღვდელ-მონაზონი ექვთიმე კერესელიძე.

დიდ განძს წარმოადგენს უანგარო პატრიოტის ესტატე კერესელიძის დახმარებით, 1912 წელს რაჟდენ ხუნდაძის მიერ გამოცემული საეკლესიო და საერო სიმღერების კრებული წინასიტყვაობით, ის ასახავს ქართულ-გურულ-იმერული სიმღერა-გალობის შეურყვნელად შემონახვის, აღდგენისა და გავრცელების გზებს. რაჟდენ ხუნდაძე გამოთქვამს თავის გულისტკივილს იმის გამო, რომ იმ ხანებში ქართული, კერძოდ, გურულ-იმერული სიმღერა-გალობა გადაგვარების გზაზეა. ეს კრებული წარმოადგენს გურულ-იმერულ სიმღერა-გალობათა სადა კილოების პარტიტურას, რომელიც რაჟდენ ხუნდაძეს გადაუღია სამ ხმაზე, მეტად მძიმე პირობებში. საგალობელთა ჩაწერის დროს მას არ ჰქონია არც ფისგარმონია და არც სხვა რაიმე მუსიკალური ინსტრუმენტი. ამ პარტიტურის სამ ხმაზე გადაღებაში რაჟდენს ეხმარებოდნენ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შვილები ბაბო და ელიზბარ ხუნდაძეები. პირველ ხმას მღეროდა ბაბო, მეორეს – ელიზბარი, მესამეს კი – თვითონ რაჟდენი. ასე იწერდა იგი ნოტებზე სიმღერა-გალობას და ამოწმებდა ჩანაწერის სისწორეს. “ეს ხმები ჩვენი ერის ჰარმონიული შემოქმედებაა. ბევრს შეუგნებელს კი მიუღებელი და გადასაყრელი ჰგონია, რაკი ეკლესიური სიტყვებით არის დაწერილიო”. წერდა რაჟდენ ხუნდაძე. (ნანეიშვილი ნ. 2007)

რაჟდენ თომას ძე ხუნდაძე დაიბადა 1845 წელს სოფ. კალაგონში (ჩოხატაურის რაიონი). ბავშვობიდანვე რაჟდენ ხუნდაძე ძლიერ ცოცხალი და ხალისიანი ახალგაზრდა ყოფილა. ამასთან იმდენად დახელოვნებული მხედარი, რომ ხშირად გაქცეულ ცხენს მოახტებოდა ხოლმე. შემთხვევით ერთხელ ცხენს გადმოუვდია, მძიმედ დაუშავებია და ამის გამო 1883 წელს მისთვის მარცხენა ფეხი მოუკვეთიათ. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი რაჟდენისათვის მორალური და მატერიალური დახმარება აღმოუჩენია ხალხური სიმღერების კარგ მცოდნეს და მგალობელს თეიმურაზ გეგეჭკორს. რაჟდენი მასთან ერთად მუშაობდა მარტვილში, ავრცელებდა ქართულ ხალხურ საეკლესიო და საერო სიმღერა-გალობას.

ხუნდაძეთა გვარს იმთავითვე მოდგამდა მუსიკალობა. რაჟდენის უფროსი ძმა ერმალო ქართული საეკლესიო და საერო სიმღერების სახელგანთქმული შემსრულებელი იყო. ფრიად მუსიკალურნი იყვნენ რაჟდენის ოჯახის წევრებიც, განსაკუთრებით, რაჟდენის უმცროსი ვაჟი ელიზბარი (ჭულა) და ქალიშვილი ბაბო, რომლებიც, როგორც ავღნიშნეთ, მამას დახმარებას

უწევდნენ ქართული მუსიკალური ხელოვნების საკეთილდღეოდ მიმართულ მძიმე შრომაში.

XX საუკუნის 60-იან წლებში რაჟდენი სამეგრელოს ოთხწლიან სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მხოლოდ ერთი კლასი ისწავლა. 1871 წლის 21 იანვარს სამეგრელოს ეპარქიის დროებითმა მმართველმა, ხობის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა (დადიანი) იგი მარტვილის საკათედრო ტაძრის მედავითნედ დანიშნა. ხოლო 1873 წლის 8 აგვისტოს ამავე ტაძრის იპოდიაკვნად დაადგინეს.

რაჟდენ ხუნდაძე წლების განმავლობაში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა მარტვილის საკათედრო ტაძარში. აქ იგი თანამშრომლობდა ცნობილ ლოტბართან, დიმიტრი (დიტო) ჭალაგანიძესთან, რომელმაც ზედმიწევნით იცოდა როგორც შემოქმედის, ასევე გელათის სკოლის საგალობელთა ნიმუშები. მარტვილის სამღვდელმთავრო გუნდში დიაკონი რაჟდენი 1883 წლის ზაფხულის ჩათვლით მსახურობდა დიმიტრი ჭალაგანიძესა და თეიმურაზ გეგეჭკორთან ერთად.

1883 წლის 15 სექტემბერს ეპისკოპოსმა გაბრიელმა მამა რაჟდენი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებლად გადაიყვანა და ამავე სასწავლებელში კარის ეკლესიის ღვთისმსახურად დაადგინა. ამავე დროს იგი გალობდა ქუთაისის საკათედრო ტაძრის გუნდში ნიკო მეძმარიაშვილთან, ხინო კანდელაკთან და სხვა ცნობილ მაგალობლებთან, რომელთაც ივლიანე წერეთელი (შემდეგში ასევე სასულიერო პირი) ხელმძღვანელობდა.

1893 წლის 15 სექტემბერს რაჟდენ ხუნდაძე იმერეთის ეპარქიის ღარიბ სამღვდელოების სამზრუნველოს წევრად დაინიშნა.

1894 წელს გაიხსნა ქუთაისის სასულიერო სემინარია და მამა რაჟდენი აქაც პედაგოგად გაამწესეს. იგი ასევე დაინიშნა სამღვდელო კანდიდატების საგამოცდო კომისიის წევრად.

XIX საუკუნის 80-იან წლებში რაჟდენი დაოჯახდა. ცოლად მოიყვანა ოლღა გიორგის ასული ასათიანი, რომელთანაც 7 შვილი შეეძინა: ბარბარე (პედაგოგი), თამარი, შალვა (დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი), ნინო, ელისაბედი და ქეთევანი.

1884 წელს გაბრიელ ეპისკოპოსისა და გალობის აღმდგენელი კომიტეტის მიერ ქ. ქუთაისში მივლინებულ ფილიმონ ქორიძეს კომისიის წევრებმა გამოურჩიეს მცოდნე მაგალობლები: რაჟდენ ხუნდაძე, დიმიტრი ჭალაგანიძე, ივლიანე წერეთელი, რომელთაც ანტონ დუმბაძე უწევდა მეთვალყურეობასა და ხელმძღვანელობას. ფილიმონის მიერ მათგან 1885-1886 წლებში ჩაწერილი საგალობლები მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1895 წელს გამოიცა კრებულად. ეს კრებული საგალობელთა პირველი ისტორიულ გამოცემას წარმოადგენს.

დეკანოზი რაჟდენი მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. დიდია მისი დამსახურება საეკლესიო ლიტერატურის სფეროში, მან ზედმიწევნით იცოდა საეკლესიო ტიპიკონი, სახარებისა და სამოციქულოს კილოში კითხვა.

1890 წელს მან შეკრიბა და პირველად ქართულ ენაზე გამოსცა ტიპიკონის სახელმძღვანელო, რომელიც 1911 წელს ხელახლა გამოიცა. წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერს: ვისაც უნდა კარგი მწირველი და მლოცველი იყოს, მან უეჭველად ტიპიკონიც კარგად უნდა იცოდეს. ეკლესიის მსახურმა რაც არ უნდა ზედმიწევნით იცოდეს საღვთო და საეკლესიო წიგნების კითხვა, მისთვის უქმი და გამოუდგარია იგი, თუ მან ტიპიკონიც კარგად არ ოცისო.

რაჟდენ ხუნდაძეს ასევე შეუდგენია ძველი ქართული სიტყვების ახსნა-განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მისმა ქალიშვილმა ქეთევანმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გადასცა.

1901 წელს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) დიაკონ რაჟდენს მღვდლად ხელი დაასხა და ქუთაისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კრებულში განამწესა.

1907 წელს რაჟდენ ხუნდაძე ხელმეორედ დაინიშნა სამღვდელო კანდიდატების საგამოცდო კომისიის წევრად. . ეკლესიაში ერთგული და პატიოსანი სამსახურისათვის მას სხვადასხვა წლებში მიღებული ჰქონდა ჯილდოები: ოქროს მედალი, წმ. ვლადიმერის ლენტით, ადამიანების სიკვდილისგან გადარჩენისათვის. ასევე ვერცხლის სამახსოვრო

მედალი 1859-1864 წლებში ჩრდილოეთ კავკასიის ომის დასრულებასთან დაკავშირებით. ღარიბი სამღვდელოების სამზრუნველო 12- წლიანი თავდადებული სამსახურისთვის იგი წმ. ანას III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. 1911 წელს სკუფია უბოძეს, ხოლო XX საუკუნის 10-იან წლების ბოლოს კამილავკა და სამკერდე ოქროს ჯვარი მიიღო.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დეკანოზ რაჟდენის დამსახურება ქართული გალობის გადარჩენის საქმეში, რასაც იგი დიდი სიყვარულითა და მონდომებით უძღვებოდა. მას გურულ-იმერული გალობის პირვანდელი სახით აღდგენის საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა სადა კილოს ჩაწერა, რაც მან განახორციელა 1911 წელს, როდესაც გამოსცა სამ ხმაზე ჩაწერილი საგალობელთა კრებული. რაჟდენ ხუნდაძის მიერ ჩაწერილი ეს საგალობლების კრებული გამოცემამდე შეუმოწმებია დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს. აი, რას წერს იგი ამ ნაშრომის წინასიტყვაობაში: „ცდამ გვიჩვენა, რომ ფილიმონ ქორიძის გამოცემა თავისი სირთულით საკმაოდ ძნელი შესათვისებელია, რადგან იქ გადაღებული არ არის სადა კილო, არამედ ეგრედ წოდებული განვითარებული, გრძელი და გადაკრიმანჭულებული გალობა. მაგრამ საქმე ისაა, როდესაც გურულ-იმერულ გალობას შეურყენელად დაცვის საკითხზეა ლაპარაკი, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სადა კილო, რაც არა მარტო ნაციონალური ხასიათის მასალაა, არამედ პირვანდელ მარტივ კილოსაც წარმოადგენს, რომელზედაც შენდება ყოველი შემდეგი ნაწარმოები. და თუ პირველი დაიკარგა - მეორე ვერაფერს გვეტყვის პირველზე. ამ გარემოებათა გამო აუცილებელი შეიქმნა ამ სადა კილოს ნოტებზე გადაღება და გამოცემა. ამ ნაშრომის მიზანი ისიც არის, რომ შემონახული იქნას ქართული გალობა, როგორც უშრეტი წყარო მომავალი ნიჭიერი მუსიკოსების შემოქმედებისათვის“ (გაზ. საპატრიარქოს უწყებანი, 2012).

წმინდა ფილიმონ ქორიძის გარდაცვალების შემდეგ, წმ. ექვთიმე კერესელიძემ ამ საქმის დამთავრება (დანარჩენი ორი ხმის შეწყობა) გურულ-იმერული საგალობლების შესანიშნავ მცოდნეს - რაჟდენ ხუნდაძეს მიანდო: „ამ დროიდან დავიწყე ნოტის საგალობლებზე ზრუნვა, დავიწყე წეს-რიგზე და გადავაქციე ცალ ხმიანი საგალობლები, რომ სამ ხმიანი საგალობლები, რომ სამ ხმაზე დავაწერინო ვისმეს. 1912 წელს ქორიძე უკვე ცოცხალი არ იყო, აღარ იყვნენ არც დუმბაძეები. ამისთვის გელათიდან ქუთაისს, მღვდელ რაჟდენ ხუნდაძესთან მივედი და შევეკითხე: მე მაქვს ცალ ხმაზე ქორიძისგან დაწერილი ათასამდე საგალობელი და ვეძებ იმისთანა მცოდნე მგალობლებს, რომ ის ცალფა ხმაზე დაწერილი საგალობლები სამ ხმაზე გაიწყოს და ნოტებზე გადაღებულ იქმნას მეთქი. მან მითხრა: რაღა შორს ეძებ მგალობლებს და გადამღებს, ესენი მე თვითონ კარგად შემიძლია ვიგალობო, სამ ხმაზე გავაწყო, დავსწერო და გამზადებული გადმოგცე და გადმოცემის დროს ორივემ ვიგალობოთ, რომ კარგად მოწონებულად იყოს ნოტებზე დაწერილი და გადაღებული“...- გადმოგვცემს წმ. ექვთიმე კერესელიძე თავის ნაშრომში - „ისტორია ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღებისა“ (ქართული საეკლესიო გალობა. 2002).

დეკანოზმა რაჟდენმა რამდენიმე წლის განმავლობაში სამ ხმიანი გუნდისთვის გააწყო 3100 სიმღერა-გალობა. მუსიკალური მემკვიდრეობის სახით შემორჩენილია მისი სანოტო რვეულები, რომელშიც მრავალი სიმღერა-გალობაა თავმოყრილი. ამ რვეულებს თან ახლავს მოძღვრისავე წარწერა: „დიდი ხანია მცოდნე მგალობლები მიიცვალნენ და დღეს აღარავის არის! საუკუნოდ იყოს მათი ხსენება! ეს ხმები ჩვენი ერის ჰარმონიული შემოქმედებაა. ბევრს შეუგნებელს კი მიუღებელი და გადასაყრელი ჰგონია, რაკი ეკლესიური სიტყვებით არის დაწერილი“. სწორედ ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას ებრძოდა მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობით იგი.

დეკანოზი რაჟდენი მწვავედ განიცდიდა ქართული საეკლესიო გალობის სავალალო მდგომარეობას. და ბევრი იღონა კიდეც, როგორც პედაგოგმა და მოღვაწემ: ასწავლიდა ქართულ გალობას, სკოლებში აყალიბებდა მომღერალთა გუნდებს, მართავდა საჯარო კონცერტებს. ამის მაგალითია 1916 წელს ქუთაისში გამართული კონცერტი, რომელიც მისი ლობჯარობით ჩატარდა. ამ კონცერტზე შესრულდა ის საგალობლები, რომლებიც ბოლო 70 წლის განმავლობაში არ აჟღერებულა. ყველა ეს საგალობელი რაჟდენმა ნოტებზე ჩაიწერა. აი, რას წერდა იგი ქართული გალობის შესახებ: „გალობა და სიმღერა

ორივე ეროვნული საქმეა, მაგრამ რადგან გალობა, უფრო ეკლესიის კუთვნილებას შეადგენს, ამის ყოფნა-არყოფნის შესახებ, სამღვდელოება უფრო უნდა ზრუნავდეს. ის უფრო ახლოს სდგას ამ საქმესთან, ვიდრე ერისკაცები. ერისკაცები კი საერო სიმღერებზე უფრო უნდა ზრუნავდნენ და ორივე კი, ორივეზე. გალობა-სიმღერის დიდი მნიშვნელობა ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა იცის. მოკლედ რომ ვსთქვათ: გალობის გარეშე საღვთო მსახურება მკვდარია და ერიც უსიმღერო და უკულტუროა“. (ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. 2002).

რაჟდენ ხუნდაძის მოწაფეები იყვნენ: ანგია ბოჭორიშვილი – სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკაკი შანიძე – აკადემიკოსი, ღრმა მცოდნე ქართული ენისა და მეზრდოლი მისი სიწმინდის დაცვისა, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი და სხვ.

რაჟდენი სასულიერო საგალობლების გარდა, ჩვენი ხალხური სიმღერების შესანიშნავი მცოდნეც იყო. ძვირფასი ხალხური სიმღერები აქვს შეკრებილი და ჩაწერილი. 40 წლის მანძილზე მოღვაწეობდა, როგორც ძველი ქართული საერო და საეკლესიო სიმღერების შემკრები და ჩამწერი. ის ითვლებოდა ერთ-ერთ ღრმა მცოდნეთ დასავლეთ საქართველოში ძველი სიმღერებისა”.

დიდი სიხარულით შეხვდა 1917 წელს მამა რაჟდენი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი საეკლესიო კრების მუშაობაში.

1923 წელს ქუთათელმა მიტროპოლიტმა ნაზარმა (ლეჟავა) რაჟდენ ხუნდაძეს ეკლესიაში 50-წლიანი ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის დეკანოზის წოდება მიანიჭა. 80 წელს გადაცილებული მოძღვარი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხშირად ავადმყოფობდა. კომუნისტების მიერ შევიწროვებული სამღვდელოებისა და ეკლესიის დევნამ ძლიერ იმოქმედა მის შინაგან სამყაროზე.

1929 წლის 30 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დეკანოზი რაჟდენი დილით, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ოჯახის წევრებმა და ნათესაობამ მისი ცხედარი 3 ნოემბერს ქუთაისის საერო გოჭოურის სასაფლაოზე დაკრძალეს.

გარდა ძველი ქართული მუსიკალური შემოქმედების სწავლებისა და სანოტო სისტემაზე დაფიქსირებისა, დეკანოზი რაჟდენი აქტიურად თანამშრომლობდა იმჟამინდელ პრესასთან. სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „კვალი“, „კოლხიდა“, „მწყემსი“, „ფარი“, „შინაური საქმეები“, „ჩვენი ქვეყანა“, „განათლება“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. იგი რაჟდენ საჯავახოელის და ზეკო ქართველიშვილის ფსევდონიმით წერდა. აქვეყნებდა სტატიებს ქართული სიმღერა-გალობის დაცვისა და გავრცელების შესახებ. ესარჩლებოდა ცარიზმის მიერ დევნილ ქართულ ენას. განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც მეფის მთავრობამ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აკრძალა და ქართულ ეკლესიაში სლავური საეკლესიო ენა შემოიღო. იგი აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოების საპროტესტო გამოსვლებში, რომელიც უკავშირდებოდა 1893 წელს მეფის მთავრობის განზრახვით ბაგრატის ტაძრის ნანგრევების აღებასა და მის ადგილას სემინარიის შენობის აგებას. მოძღვარი თავისი პატრიოტული ლექსებითა და პუბლიკაციებით, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

დღეს ჩვენთვის ცნობილია დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძის მიერ ნოტებზე გადაღებული 1641 საგალობელი და 277 ხალხური სიმღერა. ეს უნიკალური მასალა რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ ოკუპაციის შემდეგ დეკანოზმა რაჟდენმა ზედაზნის მონასტრის ბერებს გადასცა შესანახად, რომელსაც 1937 წელს მამა რაჟდენის უფროსმა ვაჟმა - შალვა ხუნდაძემ შემთხვევით მიაკვლია და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისა და ხალხური შემოქმედების სახლს გადასცა.

ნათელმა კვალმა, აღდგენილმა ეროვნულმა თვითშეგნებამ, ღვთის შეწევნით რაჟდენ ხუნდაძის ღვაწლით, მომავალ თაობებს გადაურჩინა ძირძველი ქართული, მრავალხმიანი საგალობლები.

ლიტერატურა:

1. დეკანოზი რაჟდენ ხუნდაძე. ფოტომატიანე. „საპატრიარქოს უწყებანი“ #31, 20-24 სექტემბერი, 2012 წ.
2. ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი. 2015 წ. – გვ. 588;
3. ნანეიშვილი ნინო., გაზეთი “ქართული გალობა”, №9, 2007 წ.
4. ქართული საეკლესიო გალობა. საქართველოს საპატრიარქო. საეკლესიო გალობის ცენტრი. თბილისი. 2002 წ.
5. ქართული საეკლესიო გალობის თანამედროვე პრობლემები. თბილისი. 2002 წ.

Cultural-educational aim of Razhden Khundadze for Defending the Holly Treasure

Abdaladze Lali

Sh.Meskhia Zugdidi State University, Zugdidi

Lataria Ketevan

Sh.Meskhia Zugdidi State University, Zugdidi

Abstract

Razhden Khundadze, alongside other prominent Georgian intellectuals, was a devoted guardian of the Georgian national cause. He made a particularly significant contribution to the development and preservation of Georgian musical culture. A distinguished chanter, he actively championed the authentic preservation, revitalization, and dissemination of Georgian traditional secular and sacred music. His role extended beyond performance: he was also a respected educator, choir leader (*lotbari*), poet-journalist, and author of original musical compositions and pedagogical manuals.

In addition to studying and notating ancient Georgian musical works, Archpriest Razhden was an active contributor to the press of his time. He regularly published articles in periodicals such as *Droeba*, *Iveria*, *Kvali*, *Kolkhida*, *Mtsqemsi*, *Pari*, *Shinauri Sakmeebi* (“Domestic Affairs”), *Chveni Kvekana* (“Our Country”), *Ganatileba* (“Education”), and others. He passionately defended the Georgian language, which was under threat during the era of Tsarist repression. Through his patriotic poetry and public writings, he participated fervently in the national-liberation movement alongside fellow Georgian activists.

To date, we know that Archpriest Razhden Khundadze transcribed 1,641 ecclesiastical hymns and 277 folk songs into musical notation. Through his tireless efforts and with divine assistance, he preserved for future generations the ancient tradition of Georgian three-part ecclesiastical chanting, safeguarding a cornerstone of Georgia’s cultural and spiritual heritage.

Keywords: *singer; hymnist; teacher; creator; lotbar; Holly treasure.*